



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

2018 წლის 8 მაისი

ქ. ლაგოდეხი

ბრძანება  
№55

*ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ოფიციალური მიღებების და შეხვედრებისას, სადილით ან/და სასტუმროს მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯების გამოყოფის შესახებ*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 28 დეკემბრის №57 დადგენილების“ შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გამოიყოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, „ოფიციალური მიღებების და შეხვედრებისას, სადილით ან/და სასტუმროს მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებიდან“ 120 (ასოცი) ლარი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“-დან გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრების სადილით მომსახურებისათვის.
- საფუძველი: „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოფიციალური მიღებების და შეხვედრებისას, სადილით ან/და სასტუმროს მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯების განსაზღვრაზე პასუხისმგებელი პირის - გიორგი მესხიშვილის 2018 წლის 8 მაისის №1 მოხსენებითი ბარათი.
2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს დაევალოს, ბრძანების ფინანსური ნაწილის კონტროლი, წარმოდგენილი საანგარიშწორებო დოკუმენტის ფარგლებში.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია